შპს „ჯი პი პი“
ს/კ 405269766

Georgian Poultry Production

LLC „GPP“
ID 405269766

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ შპს „ჯი პი პი“ გეგმავს კასპის მუნიციპალიტეტში არსებული მეფრინველეობის ფერმის მიმდინარე საქმიანობაში ცვლილებების შეტანას - დამატებითი საფრინველეების მოწყობას და ექსპლუატაციას. შპს „ჯი პი პი“ მიმდინარე საქმიანობას - მეფრინველეობის ფერმისა და ფრინველთა სასაკლაოს ოპერირებას ახორციელებს 2021 წლიდან, შესაბამისი გზშ-ს ანგარიშისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-1182 (18/12/2020) ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების თანახმად.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ საფუძველზე, კერძოდ: კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით, „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა“.

გამომდინარე აღნიშნულიდან კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას.

წერილს თან ერთვის კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია:

- ინფორმაცია საქმიანობაში შეტანილი ცვლილებების შესახებ;
- ინფორმაცია საქმიანობაში შეტანილი ცვლილებების მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა მიმდინარე საქმიანობაში შეტანილი ცვლილებები გზშ-ს პროცედურას.

პატივისცემით,

შპს „ჯი პი პი“-ს დირექტორი — გიორგი ფირცხალაიშვილი

შპს ჯი პი პი * GEORGIA * GPP LLC 405269766

№ 5610
„15“ 03 2022
1/36 ...

+995 596 33 33 55,
მისამართი : ქ. თბილისი, ს. ცინცაძის ქ. #12
Address: #12 Tsintsadze str. Tbilisi